# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №32
## 2013 წლის 17 ივნისი

## ქ. თელავი

### „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 ივნისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 ივნისის №15 დადგენილებაში და დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

**მუხლი 2**

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დიმიტრი ბოჭორიძე

*დანართი*

იურდიული პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები

| № | საქმიანობა | ზომის ერთეული | წლიური დაგროვების ნორმა | განაკვეთი თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | მუზეუმები | დახურული ფართის 1 მ$^2$ | 0.04 | 0.01 |
| 2 | ოფისები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები | საერთო ფართის 1 მ$^2$ | 0.08 | 0.20 |
| 3 | სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, | საერთო ფართის 1 მ$^2$ | 0.08 | 0.05 |
| 4 | კინოთეატრები და თეატრები | მაყურებლის ერთი სავარძელი | 0.331 | 0.10 |
| 5 | ინსტიტუტები, კოლეჯები, | ერთ მოსწავლეზე | 0.198 | 0.10 |
| 6 | სკოლები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები | ერთ მოსწავლეზე | 0.198 | 0.05 |
| 7 | სასტუმროები | მომსახურების ერთეული (1 საწოლი) | 1.72 | 1,0 |
| 8 | საავადმყოფოები | ერთი საწოლი | 1.157 | 0,50 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები | დახურული<br>ფართის<br>1 $მ^2$ | 0.16 | 0.2 |
| 10 | სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები და მანეჟები | ერთ მოსწავლეზე | 0.2 | 0.05 |
| 11 | სასურსათი საქონლის მაღაზიები | სამუშაო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.76 | 0.20 |
| 12 | სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები | სამუშაო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.25 | 0.15 |
| 13 | აგრარული ბაზრები | საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.3 | 0.10 |
| 14 | შერეული საქონლის ბაზრობები | საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.21 | 0.10 |
| 15 | საკვირაო ბაზრობები | საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.21 | 0.10 |
| 16 | ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე | ღია ფართის<br>1 $მ^2$ | 0.02 | 0.025 |
| | | დახურული ფართის<br>1 $მ^2$ | 0.08 | 0.1 |
| 17 | ავტოგასამართი კომპლექსები (ნავთობპროდუქტების, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის და შეკუმშული ბუნებრივი აირის სადგურები). | საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.08 | 0.1 |
| 18 | მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები | ღია საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.04 | 0.05 |
| | | დახურული საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.08 | 0.025 |
| 19 | ა//მანქანების სარემონტო სადგურები, ავტოსამრეცხაოები, ტექმომსახურების ადგილები 50 კვ.მ–ის ზევით | დახურული საერთო ფართის<br>1 $მ^2$ | 0.14 | 0.1 |
| 20 | ა//მანქანების სარემონტო სადგურები, ავტოსამრეცხაოები, ტექმომსახურების ადგილები 50 კვ.მ–ის ქვევით | დახურული საერთო ფართის | 0.14 | 0.2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 მ | | |
| 21 | აბანოები, საუნები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.18 | 0.15 |
| 22 | სადალაქოები და სილამაზის სალონები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.35 | 0.20 |
| 23 | სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.25 | 0.15 |
| 24 | რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები | ერთ დასაჯდომ ადგილზე | 2.4 | 0,50 |
| 25 | საცხობები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.26 | 0.10 |
| 26 | დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო კლუბები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.36 | 0.10 |
| 27 | ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.008 | 0.01 |
| 28 | ვაგზლები, რკინიგზის, საავტომობილო სადგურები | ღია ფართი 1$მ^2$ | 0.008 | 0.01 |
| | | დახურული ფართი 1$მ^2$ | | 0,10 |
| 29 | საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.008 | 0.01 |
| 30 | მსხვილი სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა) | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.04 | 0.01 |

მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმულა:

მ = წ.დ.ნ : 12 X ტ

მ – მოსაკრებელი ერთ თვეზე;

წ.დ.ნ – ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა;

ტ – 1 $მ^3$ ნარჩენის გატანის, გაუვნებელყოფის და კონტეინერის ექსპლუატაციის ტარიფი.